

მეორე რიგის დიპლომატიის როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციის
პროცესში

საქართველოს მაგალითი

ქეთევან მორჩილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ თორია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

ეთნიკური კონფლიქტები მეცნიერთათვის ერთ-ერთ საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ თემის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რასაც თან სდევდა ახალი კონფლიქტების გაჩაღება. უზარმაზარი იმპერიის რღვევამ შეუქცევადი პროცესები გამოიწვია, რის შედეგადაც პოსტ-საბჭოთა სივცეში ახალი ტიპის კონფლიქტები და უზარმაზარი მსხვერპლი მივიღეთ. მათ შორის ერთ-ერთი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ 25 წელზე მეტი გავიდა, ჯერ კიდევ არ ჩანს კონფლიქტის მოგვარების ნიშნები. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეს კონფლიქტი დღემდე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე და შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ჩვენს დღევანდელ რეალობაში. მიუხედავად სხვადასხვა ფორმალური მედიატორების ჩართულობისა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკურ დონეზე გადაჭრისკენ გადადგმული ოფიციალური ნაბიჯები არაეფექტური გამოდგა და ვერანაირი ხელშესახები შედეგები ვერ გამოიღო. ამჟამად დიპლომატიის არაფორმალური მხარე არის ჩართული ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი აღწერს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მოქმედ არაოფიციალურ ინიციატივებს და მათ როლს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. კვლევამ გამოავლინა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გარშემო განვითარებულ პოლიტიკურ სიტუაციაში არაფორმალური დიპლომატია მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს და მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა, არაფორმალური ინიციატივების განხორციელების აუცილებლობა და მისი დახვეწის გზებიც აჩვენა.

Abstract

Ethnic conflicts remain as one of the most interesting subjects of research for scientists. The interest towards this topic has been increased especially after the collapse of the Soviet Union, that has been accompanied by new conflicts. The breakdown of the empire caused irreversible processes, resulting in new types of conflicts and massive casualties in the post-Soviet space. Among them, Georgian-Abkhaz conflict was one of the most widescale. Despite the fact, that more than 25 years have passed after the end of the Georgian-Abkhazian armed conflict, there are still no signs of conflict resolution. Consequently, this conflict on the territory of Georgia has a significant impact on the progress and development of the country and is therefore one of the most relevant issues in our country's agenda. Despite the involvement of various formal mediators, official steps taken to solve the Georgian-Abkhazian conflict on the political level were ineffective and could not demonstrate any tangible results. Accordingly, the informal side of diplomacy is now involved in the transformation of the Georgian-Abkhaz conflict.

Therefore, this work presents unofficial intervention within the Georgian-Abkhaz conflict, especially that the survey revealed that informal diplomacy is the most effective mechanism in today's political situation in the Georgian-Abkhaz conflict. Also, despite the challenges towards this direction, the necessity of implementing informal initiatives and the ways of improvement have been revealed.